არქიტექტურულ სამშენებლო კომპანია შპს "ჯორჯიან ჰაუზი"
ARCHITECTURAL CONSTRUCTION COMPANY "GEORGIAN HOUSE" LTD

6 ივნისი, 2013წ. №06/06-1

განცხადება
ქალაქ თბილისის მერიის სსიპ
თბილისის არქიტექტურის სამსახურს
მის: თბილისი, შარტავას ქუჩა №7

მოგახსენებთ, რომ შპს „ჯორჯიან ჰაუზი" აწარმოებს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას მისამართზე ქალაქი თბილისი, გურამიშვილის გამზირი, 12ა, კორპუსი №5 და არალეთის ქუჩისა და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი№01.12.08.021.017.

2013 წლის 12 აპრილს განაცხადით მოგმართეთ და მოვითხოვეთ ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ სამშენებლო პროექტში ცვლილებების განხორციელება (კორექტირება).

2013 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება №704962-ით დაგვიდგინდა ხარვეზი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ხარვეზი არის უსაფუძვლო შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მოქალაქე ნოდარ თათვიძესთან კომპანიას არ აქვს გაფორმებული რაიმე სახის ხელშეკრულება, შესაბამისად რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლებელია. დღეისათვის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება დადებულია მოქალაქე ლამარა თათვიძესთან, რომლის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველის ნებართვის გარეშე პროექტში შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება. (იხ. დანართი)
2. ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის სრულად გადახდის ქვითარი მას შემდეგ რაც შეითანხმებთ კორექტირებულ პროექტს, ან გადაწყვეტილების საფუძველზე დაგვიდგენთ მხოლოდ ამ ხარვეზს.
3. „ა-ე" ღერძებში განთავსებული ღიობები გათვალისიწნებული და შეთანხმებულია თავდაპირველ პროექტში, (კორექტირებით ჩვენ არ ვეხებით ამ მონაკვეთს) შესაბამისად ამ საფუძვლით უარის თქმა კორექტირების დადასტურებაზე უსაფუძვლოა, მითუმეტეს კომპანიას უკვე ვალდებულებები აქვს აღებული აღნიშნულ ფართზე (სადაც მდებარეობს ღიობები) და ამიტომ არანაირი ცვლილების შეტანა არ გვსურს/უფლება არ გვაქვს აღნიშნულ ფართში
4. რაც შეეხება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 02.04.2013 წლის №000160 დადგენილებას, აღნიშნული დადგენილება ჩვენს მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული წესით, რომელიც სრულიად შესაძლებელია ბათილად იქნას ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უსაფუძვლოა კომპანიის დავალებულება ჯარიმის გადახადის შესახებ.

გთხოვთ, გათვალისწინოთ ზემოაღნიშნული გარემოებები და გასცეთ თანხმობა შეთანხმებულ პროექტში წარმოდგენილი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

იხ. დანართები

პატივისცემით,

ირაკლი ლომთათიძე
დირექტორი

თბილისი, გურამიშვილის გამზ. №12ა • საიდენტიფიკაციო № 205211910 • თარიღი: 26.06.2007 • ტელ: (+995 32) 231 08; 231 32 09 • ფაქსი: (+995 32) 231 32 08 • www.ghouse.ge • info@ghouse.ge